# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდთან. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოა მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებით ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



სავაჭრო სახლი

## ძმანი ქ. და ს. პაპოვები

(მოსკოვში)

პატივი გვაქვს საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ ამა წლის 2 ივნისს გაიხსნა ჩვენი მაღაზია თფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში, სადაც ნარდათ და წვრილ-წვრილათ გაისყიდება ჩვენის ფირმის ჩაი, აწონილი ჩვენის მეთვალმხედველობით ჩვენს მოსკოვის მთავარს მაღაზიაში.

ჩაის გარდა მაღაზიაში გაისყიდება აგრეთვე ყავა და შაქარი. (5—4)

### ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული ბანკი იძლევა სესხს ქალაქის მამულების და სოფლის მიწა-წყლის გირაოზედ ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში.

სესხად მიიცემა ქალაქის მამულის გირაოზე $18\frac{7}{12}$ წ ით მამულის ფასი 60 პროცენტი, ხოლო სოფლის მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით იმავე ფასის 50 პროცენტი.

$18\frac{7}{12}$ და $43\frac{1}{2}$ წლიანს სესხებზე ბანკის მოვალემ უნდა იხადოს ყოველს ნახევარს წელს 3 პროცენტი სარგებელი და $\frac{1}{2}$ პროცენტი ბანკის მართვის ხარჯების დასაფარავათ, შესადგენად სათადარიგო თანხისა და სხვ., ხოლო სესხის მოსასპობად: $18\frac{7}{12}$ წლიანისა $1\frac{1}{2}$ პროცენტი და $43\frac{1}{2}$ წლიანისა $\frac{1}{4}$ პროცენტი. ამნაირად წელიწადში მოვალემ უნდა იხადოს: ქალაქის მამულების გირაოში $18\frac{7}{12}$ წლით გაცემულს სესხზე 10 პროცენტი, ხოლო სოფლის მიწა-წყლის გირაოში $43\frac{1}{2}$ წლით გაცემულს სესხზე $7\frac{1}{2}$ პროცენტი. გარდა ამისა დაფასების და გირაოს ფურცლების გამზადების ხარჯების დასაფარავად მოვალე ერთ-დროებით იხდის სესხის რაოდენობაზე 1 პროცენტს,

ვისაც ხსენებულის ბანკიდან სესხის გამოტანა სურს, სესხის პირობაზე უფრო დაწვრილებით ცნობების შესატყობელად ინებონ მისვლა: ქ ქუთაისს ბანკის სამმართველოში, ხოლო თბილისს ბანკის აგენტთან თბილისის ნოტარიუს ივანე ეგნატეს ძეს პოლტარაცკისთან.

გაცემა სესხისა და მიღება მოვალეთაგან ვადითი გადასახადებისა მოხდება: ქ ქუთაისს თვით ბანკის გამგეობისაგან, ხოლო თბილის ზემოხსენებულის აგენტის საშუალებით. (3—1)

იაკორ კასუმოვის და ამხ. მთავარ კანტორაში (ერევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლში) მიიღება ხელის-მოწერა ნეტარხსენებულ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახელობით ბავშებისათვის თავშესაფარ სახლის (პრიუტის) გასამართავად. (10—10)


### საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრება.

28 მაიის სხდომა გაიხსნა დილის ცხრა საათზედ და მაშინვე გამოაცხადა თავ-მჯდომარემ ეგზარხოსის აზრი კითხვების დადგენაზედ საეპარქიო ქალების სასწავლების შესახებ.

მღ. ასათიანმა ითხოვა დაედგინათ კითხვები საქალებო სასწავლებლის პროგრამმის გაშინჯვაზედ და კომისიის წევრების ამორჩევაზედ პედაგოგიურის და ეკონომიურის მხრით სასწავლებლის რევიზიისთვინ. თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რადგანაც ჩვენ არა გვაქვს უფლება შევეხოთ პედაგოგიურს მხარეს, მაგ კითხვის დადგენას წინაალმდეგათ არ იცნობთო.

კრებამ გარდაწყვიტა დადგენა კითხვისა მარტო ეკონომიურის მხრით გასინჯვაზედ. ერთმა დეპუტატმა ითხოვა დადგენა კითხვისა ქალების სასწავლებლისთვის სახლების მოპოებაზედ.

თავ-მჯდომარემ იკითხა, სხვა ხომ არა სურთ-რა კრებაში შემოსატანი განსახილველათ? მღ. ბარნაბოვმა ითხოვა იყვეს დადგენილი კითხვა შესახებ ქართული ენის გაკვეთილების მომატებისა ყველა სასულიერო სასწავლებლებში, რომელნიც კი საქართველოს საეგზარხოში არიან.

მ. ასათიანმა ითხოვა დადგენა კითხვისა, შესახებ მომატებისა სასულ. აკადემიებში სტიპენდიანტებისა საეკკლესიო სუმიდან თბილისის სასულ. სემინარიიდან.

ეს კითხვები მიიღო კრებამ ერთხმით და სთხოვა თავ-მჯდომარეს, რო ეჩვენებინა ეგზარხოსისთვის, მისის სურვილისამებრ, და თუ ეგზარხოსი ნებას მისცემდა, გეერჩიათ და გარდაწყვეტილება შეეტანათ ჟურნალში... შემდეგ შეუდგენ სტიპენდიატკების მიღებას და მიიღეს შვიდი ქალი. ამას შეუდგა სამი თხოვნის წაკითხვა ნაჩალნიცის ალაგის მთხოვნელ ქალებისა; საუბედუროთ, არც ერთმა არ იცოდა ქართული. მ. მ. ბატოევის და ასათიანის სიტყვით საჭიროა, რო ნაჩალნიცამ იცოდეს ქართული; ამათ ეთანხმებიან სხვა დეპუტატებიც. გარდა საქალებო სასწ. პედაგოგიურის რჩევის თავ-მჯდომარისა, მ. სტასისა, რომელიც არ ხედავს საჭიროთ ნაჩალნიცისთვის ქართულს ცოდნას იმ მიზეზით, რო ოსევდოროვის ქალმა, რომელიც თანაშემწეა ნაჩალნიცისა და მასწავლებელიც მოსამზადებელ კლასებში, იცის ქართული მშვენიერათ. მ. სტასის აზრით, ტრაფიმოვის ქალი ყველა მთხოვნელებს ეჯობინება, რადგანაც ის გაუცვნია მისთვის ბ. ბ. იანოვსკის და გუბერნატორს. კრება ეთანხმება და ირჩევენ მომეტებული ხმით ტრაფიმოვის ქალს ნაჩალნიცათ.

თორმეტის ნახევარზედ მობრძანდა ეგზარხოსი და იკითხა-რა გააკეთა კრებამ. ძიდევ რამდენიმე სიტყვა ბრძანა თბილ. სასულიერო სასწავლებლის სახლების შოვნაზედ და თორმეტ საათზედ წაბრძანდა. სხდომაც შესწყდა საღამოს ხუთ საათამდის.

საღამოს 5 საათზედ შეიკრიბნენ და ექვსის ნახევარზედ სხდომა გაიხსნა. მამა სტასმა წაიკითხა სკოლის დაარსების მოთხრობა და მნიშვნელობა სკოლისა.

იმან აქო პროგრამმა საქ. საეპ. სასწავლებლისა და ის უპირატესობა, რომელიც აქვს მინიჭებული ამ სასწავლებლებს და სთქვა: „გიმნაზიის მერვე კლასი თუ არ გაათავა ქალმა, შინაური მასწავლებლის უფლება არ ექნება, მაშინ როდესაც საეპ. სასწავლებლის ექვსი კლასის კურს-გათავებულს ეძლევა შინაური მასწავლებლის უფლება.“ შემდეგ ამისა პედაგოგიურის მხრით ანგარიშის წაკითხვა დაიწყო საქ. სასწ. ინსპექტორმა ბ. ტატიევმა; ასწერა რიცხვი შეგირდებისა, მასწავლებლებისა; მათი ჯამაგირი და გაკვეთილების რიცხვი. ტატიევმა ჯამაგირების კითხვა შეწუხებულის ხმით დაიწყო და თანაც დაუმატა—ჯამაგირები ცოტა აქვთ ყველა მასწავლებლებსაო და ჯაფა კი მეტიო; მეტათ თავის-თავზედ ჩიოდა, ინსპექტორიც ვარო, საღმთო სჯულის მასწავლებელიც და ქართულისაც და ჯამაგირი კი ცოტა მაქვსო. რადგანაც ბევრ დროს თხოულობდა მთლათ ანგარიშის წაკითხვა, ზოგიერთა დეპუტატებმა ითხოვეს კითხვის შეწყვეტა.

მღ. ჩეკუროვმა სთხოვა პროგრამის წაკითხვა. ბ. ტატიევმა პროგრამმა კი არ წაიკითხა, ის წაიკითხა, რაც ესწავლებინათ პირველი კლასის შაგირდებისათვის. რუსულ და ქართულ ენებს მოიყვან შესათანხმებლათ. რუსული ენიდან უსწავლიათ პირველი კლასის შეგირდებს: წერა-კითხვა, ელემენტარული გრამმატიკა, შესძლებით წაკითხულის სტატიების თავიანთ სიტყვით რუსულითვე დაწერა და მიცემულ ტემაზედაც დაწერა. ქართულად კი მარტო წერა-კითხვა. კრებამ ითხოვა კითხვის შეწყვეტა. მ. ასათიანი ადგა და სთქვა: როგორც სჩანს წაკითხულიდან, რუსულ ენას უფრო ბევრი ყურადღება ჰქონია მიქცეული, ვიდრე ქართულს რა არის მიზეზი, რო რუსულათ გრამატიკაც უსწავლიათ, წაკითხულის სტატიები თავის სიტყვით და მიცემულ ტემაზეც წერა და ქართულად კი მარტო წერა-კითხვა? მაშინ როდესაც უფრო სასარგებლო იქნებოდა მაგრე ქართულის სწავლება. მ. მ. ბატოევმა და ჯანდიევმა გამოაცხადეს, რო ქართული ენა ძალიან ვრცლათ და კარგათ უსწავლებიათ ყველა სასულიერო სასწავლებლებში. ფაკტათ მოიყვანეს ერთი ვიღაც ოსი შეგირდი თფ. სას. სასწავლებლისა, რომელსაც მითომ ქართულში (4) ოთხი მიეღოს.

მ. ჩეკუროვმა უპასუხა: ქართული ენა იმისთანა კაცმა უნდა დააფასოს, ვინც ეს ენა იცის და არა იმისთანა კაცმა, ვისაც ქართულისა არა გაეგება-რა.

მ. ასათიანმა სთქვა: უცხო ტომის შეგირდს, რო კარგი ნიშანი დაუსვას მასწავლებელმა ქართულ ენის სწავლაში, იქიდან არ შეიძლება ვსთქვათ, რო კარვათ მიდიოდეს სწავლება ქართული ენისა, რომელსაც თვით მასწავლებლები არაფრათ აგდებენ და თითქმის მასხარათაც იგდებენ.

დეკანოზმა ზარიძემ გამოაცხადა: „ჩვენი შვილები ქართულს ჩვენ სახლშიც ისწავლიან. აქ იმისთვის მოგვყავს, რო რუსული ისწავლონ და არ ქართული“.

ბ. ტატიევმა სთქვა: „ქართული გრამმატიკა არ არის, არის მხოლოდ იოსელიანის გრამმატიკა, რომელიც ოც-და-ათის წლის წინათ არის გამოცემული; იქიდან რო კაცმა ასწავლოს რამე, სასაცილოც იქნება და ან რა საჭიროა“.

მ. ასათიანმა უპასუხა ტატიევს: „ბატონო, ჯერ პროგრამმაში ჩაიყვანეთ ქართული გრამმატიკის და სხვა საგნების სწავლება და მერე სახელმძღვანელოები მოგვთხოვეთ. თუ გრამმატიკა არ არის, გორის სამასწ. სემინარიაში ქუთათელაძე საიდან ასწავლის?

თავმჯდომარემ რო ნახა, ლაპარაკი გრძელდებოდა, სთხოვა კრებას თავის დანებება ლაპარაკისა ამ სა-

განზედ, რადგანაც კითხვა იყო დადგენილი პროგრამმის განხილვაზედ. კრება დაწყნარდა და შეუდგა კომისიის წევრების ამორჩევას საეპ. ქალების სასწავლებლის პროგრამმის განსახილველათ და ეკონომიურის მხრით რევიზიისთვის და ამოირჩიეს დეკ. ხელიძე, მ. მ. მღიევი და მლიოზოვი. შემდეგ ეგზარხოსის სურვილისა-მებრ დაადგინეს თბილისიის ოლქის სამღვდელოებას ასესხონ ფული. თავმჯდომარემ გამოაცხადა სხდომა დახურულათ მეორე დღის საღამოს ხუთ საათამდინ.

29 მაისს საღამოს ექვს საათზედ გაიხსნა სხდომა და თავმჯდომარემ წაიკითხა მთელი ჟურნალი. შემდეგ ჟურნალის წაკითხვისა ზოგიერთა დეპუტატებმა ჰკითხეს თავმჯდომარეს წარუდგინა თუ არა მან ეგზარხოსს ის კითხვები, რომელნიც 28-ს კრებამ დაადგინა. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რო მას არ წარუდგენია მოუცლელობის გამო. ამას დაუმატა, რო კითხვები შესახებ საეპ. ქალებ. სასწავ. 28 საღამოს სხდომაზედ კიდეც გადასწყდაო; სახლებიც იმავე სასწავლებ., როგორც ნამდვილათ შევიტყე, კიდეც უყიდნიათო. ხოლო რაიცა შეეხება ყველა სასწ. ქართული ენის გაკვეთილების გამრავლებას და სასულიერო აკადემიებში სტიპენდიანტების მომატებას, უნდა გამოვაცხადო, რო ეს საგნები, რადგანაც არ ეკუთვნიან ჩვენი მოწვევის საგანს, არც ნებას მოგვცემენ. მ. ჩეკუროვმა მიუგო: თუ რომ შესახებ თბილისის სასულიერო სასწავლებლის სახლების მოპოვების წინადადება გარდასწყვიტეთ, რომელიც საეპარქიო კრებას კი არ ეკუთვნოდა, საოლქოს ეკუთვნოდა, რატომ ეგ კითხვები კი არ შეგვიძლიან გავარჩიოთ და შევიტანოთ ჟურნალში?

მ. ასათიანი ჰკითხულობს: თუ შეუძლებელი იყო მაგ კითხვების მიღება, გუშინ ერთ-ხმათ რათ მიიღეთ?

მ. ბედიევი ამბობს, რო თავი დავანებოთ მაგ კითხვებს, რადგანაც ჩვენი საქმე არ არის და კიდეც გვიგვიანდება შინ წასვლა.

თავმჯდომარე აცხადებს: „რაც გადავწყვიტეთ, იმაზედ ხელი მოაწერეთ და თუ გსურთ, მაგ კითხვებისთვის არზით მიჩივლეთ“.

ამ სიტყვების შემდეგ აიღო კალამი და მოაწერა ხელი ჟურნალს და დაუწყო რიგზედ დეპუტატების მოწვევა ხელის მოსაწერათ...

რამდენიმე მღვ. ხელი კიდეც მოაწერა, მაგრამ მომეტებულმა ნაწილმა უარი სთქვა ხელის მოწერაზედ, თუ ის კითხვებიც არ იქნებოდა გარჩეული და შეტანილი ჟურნალში. პირველად მ. ჭრელაევი არ გავიდა დაძახებაზედ მას მიჰყვნენ სხვანიც. თავმჯდომარე იძულებული იყო ამ კითხვებზედ განაჩენი დაედგინა და დაადგინეს:

სთხოვონ მისს მაღალ ყოვლადუსამღვდელოესს საქართველოს ეგზარხოსს იოანიკის, რათა მან იშუამავლოს წინაშე უწმინდესის სინოდისა, რო ყველა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში მომატებულ იქმნეს ქართულის ენის გაკვეთილები და საეკკლესიო ქართული გალობისა და ოთხი სტიპენდიანტი მაინც იქმნეს ყოველწლივ სასულიერო აკადემიებში თბ. სასულიერო სემინარიიდან.

ამ განჩენის შემდეგ ყველა დეპუტატებმა მოაწერეს ხელი და სხდომაც დაიხურა.

თმოგველი.

## თფილისს სამოქალაქო რჩევა.

სხდომა 29 მაისს.

დღეს, 29 მაისს, მოხდა ჩვეულებრივი სხდომა ქალაქის რჩევისა, თანადასწრებით 24 ხმოსანთა.

მოისმინეს წარსულის სხდომის პროტოკოლი და დაამტკიცეს; სეკრეტარი ბ. იზმაილოვი აპირებს რიგით პირველი მოხსენების წაკითხვას; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს რჩევა ისე არ გაიხსნება, რომ ბ. ნ. დ. ზუბალოვს რაიმე საკითხავი არ ჰქონდეს ქალაქის გამგეობისათვის.

ბ. ზუბალოვი. მინდა ვკითხო გამგეობას—რა მდგომარეობაშია პოლუბანსკის და ქალაქს შორის საჩივარი ადგილის თაობაზე? მე როგორც გამიგია, სასამართლო პალატას უკვე გარდაუწყვეტია ეს საქმე პოლუბანსკის სასარგებლოდ და მას უფლება აქვს, ამ გარდაწყვეტილების ძალით, გარდაახდევინოს ქალაქს თითქმის რვა ათასი თუმანი.

ბ. ქალაქის თავი. მართალია, ეს საქმე გარდაწყდა სასამართლო პალატაში 27 ამ თვეს, მაგრამ შეიძლება კიდევ რამე მოვახერხოთ.

ბ. ზუბალოვი. ეს საქმე იყო განხილული 20 რიცხვს და მას აქეთ რამდენიმე სხდომა გვქონდა და დღემდის ქალაქის გამგეობამ თავი არ შეიწუხა, რომ მოეხსენებინა დაბოლოება საქმისა. რამდენადაც ვიცი, პოლუბანსკებს ამ რამოდენიმე წლის წინეთ უნდოდათ მორიგებით გაეთავებინათ საქმე ქალაქთან და გვთხოვდა მხოლოთ სამი ათას თუმანს; ქალაქმა უარი უთხრა და დღეს, ამ უარის თქმის შემწეობით, ჩვენ უნდა გარდავიხადოთ თითქმის რვა ათასი თუმანი...

ქალაქის თავი ამბობს, რომ ამ საქმის გარჩევა სასამართლოში იყო 27 რიცხვს ამ თვეს და არა 20-ს, როგორც ამბობს ბ. ზუბალოვი, და მოხსენება არ შემეძლო ჯერ-ჯერობით. ამ საქმის მსვლელობა ყოველთვის იცოდა ქალაქის რჩევამ, და ბ. ზუბალოვის საყვედური სრულებით უსაფუძვლოა. რჩევას თავ-თავის დროზედ ეძლეოდა გამგეობისაგან ცნობები ამ საქმის შესახებ და ამ გვარივე ცნობა წარედგინება მოკლე ხანში უკანასკნელი სასამართლო პალატისა გარდაწყვეტილების თაობაზედაც.

ბ. ზუბალოვი. მეორე საკითხავი მაქვს კიდევ: მე მინდა გავიგო, რა მიზეზით გარდახდა სასამართლოს გარდაწყვეტილებით ქალაქის გამგეობას ორასი თუმანი ჯარიმა ქალაქისაგან ქუჩების გამწმენდ მეიჯარადრის კანტრაქტის დარღვევისათვის? თუ გამგეობა კონტრაქტებს არღვევს და ამის გამო ჩვენ ჯარიმები ვიხდით, შეიძლება მალე ჩვენი ხაზინა დავაცალიეროთ.

ქალაქის-თავმა სთქვა, რომ ამ საქმეზედ რჩევას მოხსენებული ექმნებაო.

ბ. ზუბალოვი. მესამე კითხვა მაქვს: ეხლანდელი მოიჯარადრე მიხაილოვის შოსეს მორწყვისა უზბაშევი ძრიელ ცუდათ რწყავს მიხაილოვის ქუჩას, თუმცა წინანდელი მოიჯარადრე ბ. შადინოვი, იგივე ქალაქის გამგეობის ხაზინადარი, უფრო ცუდათ ასრულებდა თავის მოვალეობას. საჭიროა ამას გამგეობისაგან უფრო მეტი ყურადღება ჰონდეს მიქცეული, ვიდრე დღემდის ჰქონდა. ამის გარდა, როგორც გამიგია, უზბაშევის საიჯარო ფულებით ივსება ქალაქის-თავის ვალი, რომელიც დასდებია ბ. შადინოვს ხაზინადრობის დროს. მე მსურს გავიგო, თუ რამდენად მართალია ეს ამბავი?

ქალაქის-თავი. მე მიკვირს, რომ ბ. პასუხს არ მოგცემთ.

ბ. მესხი. პირველი ნაწილი ბატ. ზუბალოვი ჰკრებს ქუჩა-ქუჩა სხვა-დასხვა ჭორებს და მათზედ აფუძნებს თავის სიტყვების სიმართლეს. მე ურჩევ ჭორების ქუჩა-ქუჩა აკრეფას თავი დაანებოს და საქმის სინამდვილის გამოკვლევას შეუდგეს, მაშინ დარწმუნებული ვარ ბ. ზუბალოვი სულ სხვა ჰაზრისა იქნება და ამ უსიამოვნო ჭორებს მნიშვნელობას არ მისცემს.

ზუბალოვი. მე თქვენ ჰკითხავთ და მსურს რომ ამ საქმეზედ პასუხი მომცეთ.

ქალაქის-თავი. მაგ გვარ კითხვაზე მე ზუბალოვის კითხვისა შესახებ მიხაილოვის ქუჩის მორწყვისა მე მგონია საყურადღებოა და ამისათვის სასურველია, რომ ამ საგანზედ ცნობა მივიღოთ.

ელიმირზოვი. მე ვაცხადებ, რომ მიხაილოვის შოსსე ახლა ძალიან კარგათ ირწყვება.

ქალაქის თავი. რაც შეეხება ბ-ნი ზუბალოვის დანარჩენ ორ-კითხვას, გამგეობა მოახსენებს შემდეგში რჩევას დაწვრილებით ცნობებს; უკანასკნელს, ჭორებზედ დაფუძნებულ კითხვაზედ მე არავითარ პასუხს არ ვაძლევ და არც ვფიქრობ მივსცე შემდეგში, რადგანაც ეს სრულებით კერძო საქმეა და აქ არის ნახსენები მხოლოდ სკანდალისათვის დასანერგავად.

შემდეგ ამისა ბ-მა იზმაილოვმა წაიკითხა ქალაქის სამასწავლებლო კომიტეტის მოხსენება, რომელშიაც იყო მოხსენებული, რომ კომიტეტის მოსაზრებით წელს უნდა გაიხსნეს ხუთი ახალი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ამის გარდა წელს რიგით უნდა გაიხსნას სახელოსნო სასწავლებელში მეორე კლასი, რუსებისა, ქართველებს და სომხებისათვის. რადგანაც ამ სამი განყოფილებისათვის საჭიროა საში ოთახი, ამიტომ დღეს სახელოსნო სასწავლებლის შენობაში მყოფი პირველ-დაწყებითი სასწავლებლები ქართველების, სომხების და რუსებისა უნდა გადაიტანოს ამ სადგომიდამ, რომ მით სახელოსნო მეორე კლასებს ადგილი ჰქონდესთ. კომიტეტის მოსაზრებით, ეხლანდელი და მომავალში გასახსნელი პირველ-დაწყებითი სკოლები უნდა გაიხსნას ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც რა ტომის ხალხიც უფრო ბევრია, მაგალითებრ: ვერაზედ, მთაწმინდაში და მოსკოვსკი ბალკაში ქართველებისა და რუსების სკოლები, ავლაბარში, ძველ ბაზარში, ნავთლუღში სომხებისა და სხვ. შეიძლება ერთ უბანში გაიხსნას ორი სასწავლებელი ერთ შენობაში, მაგრამ კომიტეტის აზრით უკეთესი იქნება სასწავლებლები გაიხსნას ცალ-ცალკე, რადგანაც ყმაწვილებს სკოლა ახლოს ექნებათ და არ მოუნდებათ შორს სიარული.

შესახებ სახელოსნო სასწავლებლისა, კომიტეტის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ, რადგანაც შემდეგი ენკენისთვიდამ ემატება მეორე კლასი, სამი განყოფილებით, ეხლანდელი სამუშაო სადგომი არ კმარაო, უნდა აშენდეს ახალი სამუშაო სადგომიო, რომლისათვისაც საჭიროა, ქალაქის არხიტექტორის ბ-ნი ოზეროვის გამოანგარიშებით, 19 ათასი მეტი მანეთი. მაგრამ წელს ამდენი ხარჯი არ ესაჭიროება ქალაქს, რადგანაც მარტო ერთი ხელობის სამუშაო სადგომი უნდა გაკეთდეს, სახელდობრ დურგლობისა, რომლისთვისაც იმავე მცოდნე პირებისაგან გამოანგარიშებულია 6,400 მანეთი, და ამ ხარჯის ნებართვას მოითხოვს კომიტეტი ქალაქის რჩევისაგან. გარდა ამისა ახალი ყმაწვილების შენახვაც დაუჯდება ქალაქს 900 მანეთამდინ. სულ პირველ დაწყებითი ეხლანდელი და მომავალში გასახსნელი და სახელოსნო სასწავლებლის ახალი კლასის გახსნა დაუჯდება ათას თუმანზედ ცოტა მეტი.

გამგეობას ეს მოსაზრება კომიტეტისა განუხილავს და დაემტკიცებინა, ამისათვის ის სთხოვს ქალაქის რჩევას დააკმაყოფილოს კომიტეტის თხოვნა, მით უფრო, რომ ქალაქის ხაზინა გვაძლევს საშუალებას ამ კეთილი სურვილის აღსასრულებლადაო.

ალადათოვი. მე ჩემის მხრით ვამბობ, რომ ჩვენი ყმაწვილების აღსაზრდელად არ უნდა დავზოგოთ არავითარი საშუალება. პირველ-დაწყებითი სასწავლებლებისთვის კომიტეტის მოსაზრებაზედ მე სრული თანახმა ვარ, რომ ეს მოსაზრება დამტკიცდეს. რაც შეეხება სახელოსნო სასწავლებლისთვის ხარჯის მომატებას, უნდა ვიფიქროთ და მოვიპოვოთ წყარო, საიდამაც შეგვეძლოს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

იზმაილოვი. წყარო გახლავსთ: წარსული წლებიდამ არის დარჩენილი ცამეტი ათასი მანეთი და იქიდამ შეგვიძლია დავხარჯოთ.

ალადათოვი. Თქვენ ბრძანებთ, რომ წარსული წლებიდამ დარჩენილი არისო ფულები. Თუ ეს მართალია, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამასთანავე ბევრი გასასტუმრებელი ხარჯი და ვალიც გვაქვს. მაგრამ თუ მაინცა და მაინც დაამტკიცებთ, რომ ამ ფრიად საჭირო და სასიამოვნო მოთხოვნილებისთვის გვაქვს დასაკმაყოფილებელი წყარო, მე თანახმა ვარ მიეცეს.

იზმაილოვი. Მე მოგახსენებთ, რომ გახლავსთ საშუალება.

პაპოვი (გამგეობის წევრი). Წარსული წლების სმეტიდამ, სახელდობრ: 1879 წლიდამ დაგვრჩა ცხრა ათას მანეთამდინ, 1880 წ. ორი ათას მანეთამდინ; ამას გარდა კიდევ არის სხვა ორი ათასი მანეთი დარჩენილი, ასრე რომ დღეს გვაქვს ცამეტი ათასი მანეთი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად მოვიხმაროთ. Მართალია, გასასტუმრებელი გვყავს ინტენდანსტვო, რომელსაც ორმოც-და-ათი ათასი მანეთი უნდა მივსცეთ, მაგრამ მასთან ჩვენ სხვა ანგარიში გვაქვს, რომელიც დღემდის არ გაგვითავებია.

ალადათოვი. Კარგია, რომ გამახსენეთ. Მაგალითებრ, ინტენდანსტვოს ვალი!... რამდენი ამისთანაები გვაქვს გასასტუმრებელი....

ბ. პაპოვი. Ინტენდანტსტვოს ვალი ყოველ წლობით იხდება ქალაქისაგან, ყოველ წლობით შედის სმეტაში და ამ სმეტაში გამონგარიშებულ ხვედრ ფულს ვიხდით, ასრე რომ საჭირო არ არის ამ სმეტაში მოყვანილ ფულის გარდა გარდავიხადოთ. Ასრე რომ წარსული წლებიდამ დარჩენილი ფულებით თავისუფლად შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ სამასწავლებლო კომიტეტის მოთხოვნილება.

ბ. ჩოლაყაშვილი. Მე ჩემის მხრით თანახმა ვარ პირველ-დაწყებითი სკოლების მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს; რაც შეეხება სახელოსნო სასწავლებლის სამუშავო სადგომის გავრცელებას, მე შემომაქვს ეს წინადადება უარ-ჰყოთ იმ მიზეზით, რომ მრავალი მეცნიერნი და გამოცდილნი პირნი ამტკიცებენ, რომ ამ გვარი სახელოსნო სკოლები უსარგებლო არისო და უარს ამბობენ იმათ დაწესებაზედ, რადგანაც თანასწორ საგნების სწავლასთან მიდის ხელოსნობის შესწავლაც, და ამისათვის ყმაწვილი ვერ ასწრებს ამის შესწავლას. Ამისათვის, რადგანაც ამ გვარი სასწავლებლების (სახელოსნო) არსებობის სარგებლობა კიდევ არ არის ჯერ-ჯერობით გამორკვეული და დამტკიცებული, მე თანახმა ვარ კომიტეტის წინადადების იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება პირველ დაწყებით სასწავლებლებს ხოლო სახელოსნო სასწავლებლისათვის ფულების მიცემაზე მითქვამს ჩემის მხრით უარი.

იზმაილოვი. Მაშასადამე, რა სარგებლობა უნდა მოიტანოს ახლანდელმ ერთ-კლასიანმა სახელოსნო სასწავლებელმა, თუ შემდეგ კლასებს არ გავხსნით, რომ მით მივსცეთ მეტ სწავლა როგორც საგნებისა, აგრეთვე ხელოსნობის! Გამოდის, რომ უნდა დავხუროთ და ამ შემთხვევაში, რაც ხარჯი გვქონია, სულ ფუჭად უნდა ჩავატაროთ, მაშინ როდესაც ჩვენ გვაქვს საშუალება—კომიტეტის წინადადების და ჩვენი საზოგადო სურვილის ასრულებისა.

ქალაქის თავი. Რადგანაც ამ საგნის შესახებ ხმოსნებს შორის თანხმობა არ არის, ეს კითხვა გარდაწყდეს ხმის მიცემით. Იმ ბ.ბ. ხმოსნებს, რომელთაც ჰსურთ მიიღონ კომიტეტის წინადადება ხელ-უხლებელად, ვსთხოვ აბრძანდნენ.

Ადგებიან 19 ხმოსანი, ასე რომ ხმის უმეტესობით დამტკიცდა კომიტეტის წინადადება.

Ამას გარდა რჩევას ჰქონდა განსახილველად კომიტეტის წინადადება, რომ ახალი მასტერსკოის აშენება მიენდოს ერთ ხმოსანთაგანს, რჩევის ამორჩევით.

Მაგრამ რადგანაც ხმოსნებში არავინ აღმოჩნდა მსურველი, რჩევამ 14 ხმის უმეტესობით, გარდასწყვიტა მიენდოს ამ სადგომის აშენება გამგეობას.

(დასასრული ხვალ).

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

—

Ქუთაისში 31 მაისს დილის სამი საათიდამ რვამდე გადამწვარა თოთხმეტი მაღაზია საჰზნაურო ბანკის პირ-და-პირ, მიხაილოვის ქუჩაზე. Პირველად ცეცხლი გაჩენილა ბეგოვის მაღაზიაში.

Ყველა შენობები და შიგ დაწყობილი საქონლები (ერთი მაღაზიის გარდა) დაზღვეული ყოფილა. Ამბობენ, სხვათა შორის, ერთს მეხილეს, რომელიც ამ მაღაზიების ჩრდილოეთით წყობაში ვაჭრობდა, ხუთი ათას მან. ჰქონდაო თავის წვანილი და ხილი დაზღვეულიო.

Სამი მაღაზია დაგირავებული ყოფილა საჰზნაურო ბანკში. Ხმებია, ვითომც ეს ცეცხლი ბოროტ-განზრახვით უნდა ყოფილიყოს წაკიდებული.

***

Ამ ცეცხლის თაობაზედვე ქუთაისიდამ გვწერენ, რომ გადამწვარა ზალინოვის, შამლიკაშვილის, Ციციშვილის და ხარაზოვების მაღაზიები; დაიწვა აგრეთვე კურწოვის სკლადი, Ოლანეზოვის მაღაზია, ქურთოევის რკინეულობის მაღაზია, ბეგოვისა და სხვ. Კურწოვის მაღაზია 20 ათას მანეთად ყოფილა საზღვევეელ საზოგადოებაში შეტანილი, Ოლანეზოვისა—40 ათასად, ქურთოევისა—15 და ბეგოვისა—27 ათას მანეთში. Სულ ზარალი უკანასკნელი 200,000 (ორასი ათასი) მანეთამდინ იქნებაო.

***

Სურამიდამ გვწერენ, რომ ბორჯომიდამ მომავალს Დიდ მთავარს სურამის სტანციაზე მიეგება თითქმის მთელი აქაური ხალხი და აგრეთვე ხვიმხეთის მამასახლისი 30 ცხენოსანი კაცით. Დიდმა მთავარმა დიდი მადლობა გამოუცხადა ხალხს ამ გვარ თანაგრძნობისათვისაო.

***

Ეს მეორედ არის, რომ ქართლელ სომხებს თავიანთი ტერტერები ეკარგებათ და ჩვენ შემოგვჩივიან გვიპოვნეთო! Ამას წინათ თეითონ გორელებს დაეკარგათ; ახლა სოფ. Ალის ერთი სომეხი გვწერს, ორი კვირაა ჩვენი მღვდელი დაგვეკარგა, თქვენი ჭირიმეთ, გაზეთში გამოაცხადეთ, იქნება სადმე აღმოჩნდესო. Ჭორად გავიგონეთო, რომ ვითომც ეს ჩვენი მღვდელი სურამში არის, რაღაც ვექსილების თაობაზე საჩივრები აუტეხიათ და სასამართლოებში დაიარებაო; მაგრამ ნამდვილი კი არა ვიცით-რა.

***

Სურამიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ: „29-ს მაისს სურამში ქუჩაზედ მოხდა უწესოება Ყარამან მაჭავარიანსა და Ილიკო მურმანოვის შუა: სცემეს ერთმანეთსა. Მიზეზი ჩხუბისა ის იყო, რომ მაჭავარიანმა დაუძახა მურმანოვს: მოჯამაგირე რო გემსახურა და შენგან ერგებოდაო 25 მანეთი ფული, ის მე უნდა მომცეო. Მურმანოვმა კვიტანცია სთხოვა, მომეციო და მოგართმევო. Ამან კვიტანციის მიცემაზედ უარი უთხრა და უშვერის ლექსით მოიხსენია. Მურვანოვმაც იმ ნაირივე პასუხი აღირსა და მაჭავარიანმა ამ პასუხზედ სილა შემოჰკრა და ხანჯალს წაივლო ხელი.

„Ამ დროს გაჩნდება უნცროსი ძმა მურმანოვისა და უნდა დააშვიდოს; ერთს ჯოხს წაართმევს ხელიდამ, მეორეს ხანჯალს ჩაადებინებს. Გაბრაზებული მაჭავარიანი ორივეს დაუწყებს გინებასა, და ამ დროს მოთმინებიდგან გამოვა უნცროსი ძმა და იმისთანა სილას შემოჰკრავს მაჭავარიანს, რომ გონებაზედ ძლივას მოვა. Წაართმევს ხანჯალს და გაგდებს.

„Ამ მაჭავარიანს ბევრს ადგილს შემთხვევია ამისთანა უწესოება და თავს გადუვლია, მაგრამ ამ დღეს ცუდათ დაუტრიალდა ბედი.“

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲒᲝᲠᲘ, 24 მაისს. Ბევრი დაწერილა ჩვენს საბრალო გორზედ, მაგრამ არა გამოდის-რა; ჩვენს გორელებს რამდენიც გინდა დაუწერე სულ ერთია: არა-ერთხელ შეუწამებიათ უთაურობა, ყური შეაჩვიეს და ეს არის.

Ერთმა-ორმა თავზედ ხელ-აღებულმა კაცმა რომ ჩამოიაროს გორში, დილით სადამომდე ისე აიკლებს, რომ ხმის გამცემი არავინ არის; ვისაც რა ნებავს, იმას ჩადის. Ბავშს რომ ჰკითხეს: რათ სტირიო?—უპასუხა: „გამდის და ვსტირიო!“ სწორეთ ისეა აქაური საქმე...

Სიიეფეს ხომ ვინღა მოესწრება. Ვაჭარმა, მეტადრე ხორაგეულის პატრონმა, თუმნიანი რომ მანეთათ იყიდოს, მაინც ყოველის ღონის-ძიებით ცდილობს, რომ ერთი ათად გაყიდოს. Ტყავი სძვრებათ საცოდავს მეწოვრებლებს. Ღმერთმა დაუმადლოს Იმერეთის ღვინის მოსავალს. Ეს ერთი სიკეთე გვჭირს ეხლა, რომ Იმერეთიდგან მოზიდულმა ღვინოებმა გააიეფეს ღვინო, თორემ მიკიტნების ხელში რომ ვყოფილიყავით, ქვევრის ნარეცხს მანეთათ თუნგს გვასმევდენ.

Ყველამ იცის, რომ ჩვენს გორს გარეშემო ტყე ახვევია, მაგრამ ხუთსა და ექვს მანეთს ურემი არ ჩამოუვიდა. Ამის მიზეზი ის არის, რომ აქ ორს ძმას Ა. და Ს. Ღამბაროვებს იჯარითა აქვთ აღებული პოლკისათვის მისაცემი შეშა. Რაც გორში შეშა შემოდის, ესენი რომ არ იყვნენ, მაინცა-და-მაინც ურემი ორ მანეთად გახდება. Შემოვა თუ არა შეშა დილით ადრე, მოედებიან Ღ—ბი და მათი აგენტები—მოჯამაგირეები, მოხვევენ ხელს, ოცსა და ოც-და-ათს ურემს ერთად დამიაქვსთ, საქონბით სდგმენ... Ორი კაცი უნდა გაკეთდეს და ათასი წახდეს. Ამ გვარი მოქმედება ცუდს რასმეს წარმოადგენს, როგორც ამას წინეთ მოხდა: Ღ—ბის პრიკაშჩიკი მურადოვი, შეშის სყიდვის დროს გორელებმა კინაღამ მოჰკლეს. Მაინც შიშით ხუთ დღეს უკან მოკვდა, მაგრამ თავი არავის გაუცხელებია და ეს ბატონები მაინც თავიანთსას არ იშლიან.

Აქაურ არხიტექტორისაგან აღარ არის ილაჯი: პლანს მისცემს, სახლს ააშენებინებს და მერე უჩივის; აძლევს საცოდავს ხალხს ზარალში. Თუმცა ბევრჯელ უჩივლეს, მაგრამ ეს ჩივილი დარჩა ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა...

***

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

—

Ოდესიდამ იწერებიან, რომ ებრაელების წინაალმდეგ უწესოების გამოდაჭერილები, რომელნიც იყვნენ დამწყვდეული ნავებში 15 მაისს გაუყვიათ სამ ნაწილად: პირველი ნაწილი, რომელიც არ უცვნიათ სრულებით დამნაშავეთ, გაუნთავისუფლებიათ; მეორე ნაწილის წინაალმდეგ გამამტყუნებელი საბუთები ცოტა ყოფილა, ისიც საეჭვო, მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაცია დარწმუნებულა მათ ბრალდებულობაში და გაუჯოხავთ; მესამე ნაწილი კი მომრიგებელ მოსამართლესთვის გარდაუციათ გასამართლებლად.

Სხვათა შორის, აი როგორი შემთხვევა მოჰყავს გაზეთ „Პორიადოკს“ შესახებ ადმინისტრაციისაგან დასჯილ (გაროზგილ) პირთა. Ერთი ამათგანი, რომელიც ზომიერათ ყოფილა დასჯილი ადმინისტრაციის ბრძანებით, გამოსულა ბაზარში და აუხსნია ხალხისათვის, რომ გამოვიდა ახალი მანიფესტიო და რომელთაც ჰსურთ ამის წაკითხვა—შეუძლიანთ შეხედონ მის ზურგს. Ამ სიტყვებით მან წამოიხადა პერანგი და უჩვენა ხალხს სრულებით დასისხლიანებული ზურგი.

— Ბრძანება გამოსული მოახდი-

ნონ აღწერა ქიევში მცხოვრებ ყველა ებრაელებისა. იმ ებრაელებს, რომელთაც არ ექნებათ უფლება ქიევში ცხოვრებისა, გარდაასახლებენ იქიდამ.

— გაზეთი „ნოვოსტი" სწერს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს სულზედ გარდასახადის მაგივრად მიწის გარდასახადი შემოიღოს.

— იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ შედგენილია სასოფლო სასწავლებლების დამხმარებელ საზოგადოების პროექტიო.

— პეტერბურღში გავრცელებულია ხმა, ვითომც 15 მაისს მთავრობას რამოდენიმე ზღვის აფიცრები დაეტუსაღებინოსთ.

## უცხოეთი

**წვრილი ამბები.** ქ. ბელგრადიდამ (სერბიაში) იწერებიან, რომ ალბანიაში დიდი მზადება აქვთ არეულობისთვისო.

— პარიჟიდამ მოვიდა ამბავი, რომ აქაური რუსები ამზადებენ მუზიკალურ სალამოს გამართვას რუსეთში არეულობისგან დაზიანებულ ურიების და რუსების სასარგებლოდ.

— მარსელიდამ იწერებიან, რომ 19 მაისს ადგილობრივ სასამართლოს დაუდგენია განჩინება შესახებ იმ პირთა, რომელნიც იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი 15 მაისის გესია გელფმანის ქალის სასარგებლოდ ყრილობის გამო. სიუზინის გარდაუწყვიტეს ერთის თვით ციხეში ჩასმა და ასი ფრანკის ჯარიმის გარდახდა, პაულა მინკის ქალს—ერთის თვით ციხე და დანარჩენი სამი—ერთი ორის თვით, მეორე ოცი დღით და მესამე ერთი კვირით.

### ტაქსია

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 ივნისიდამ 15 ივნისამდის.**

| | | |
|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |
| **ჭვარის-მამის პური:** | | |
| პირველ. ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 12 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც ტფილისის ბაზრებში და მაღნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.



## განცხადებანი

**მოსახურავი** 4 მან., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ., ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—1)

**ინგლისის მაღაზიაში**

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—1)

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართველ თავად-აზნაურთა გუჯრები (გრამოტები).

**შედგენილი დ. პ. ფურცელაძისაგან.**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში, თითო წიგნი 50 კაპ., ქუთაისში გერარდის წიგნის მაღაზიაში—70 კაპ. (5—3)

---

**ისყიდება ინგლისის მაღაზიაში**

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და, წყურვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—3)

---

**ჩარკვიანის და ამხ.**

## წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს კოსტინიცის პირდა-პირ № 15. 5—5

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100—65

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (ვემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურებების გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას იგარები. (100—69)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოლნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—69)

---

გამოვიდა „**დრო არის საქმეს შეუდგეთ**" თხზულება ქრისტეფორე მამაცაშვილისა და „**ვაი მართალთა!**" თხზულება ანტონ ფურცელაძისა, რომელნიც ისყიდებიან: ტფილისს, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში; გორს მარიამ ქერესელიძის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში და თელავს ხორკლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი პირველისა აბაზი, მეორესი ექვსი შაური. (5—3)

---

### ტფილისის სადგილ-მამულო ბანკისაგან

17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულისა და „მმართებლობის კანონთა და განკარგულებათა კრების" № 32-ში დაბეჭდილის ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის წესდების საფუძვლით, ამ ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს:

1) მოსპობილია სესხის გაცემა და გირავოს ფურცლების გამოცემა იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 28 მაისის 1874 წლის ბანკის წესდებაში; მაგრამ უკვე გამოცემულ გირაოს ფურცლების შესახებ დაცული იქნება იწ წესები, რომელნიც ზემოხსენებულს ბანკის წესდებაშია

2) ახალის, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის წესდების ძალით, ბანკს უფლება აქვს მინიჭებული შემდეგ გუბერნიების უძრავ ქონების გირავნობით გასცეს სესხი: ტფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, განჯის (ელისავეტპოლის) და სოხუმის სამხედრო მაზრისა.

სესხი გაიცემა გირაოს ფურცლებით, რომლის თავდები და პასუხის-მგებელი იქნება ბანკში დაგირავებული ყველა უძრავი მამული.

4) სესხი გაიცემა: ა) ადგილ-მამულის გირავნობით $54\frac{1}{2}$ და $43\frac{1}{2}$ წლით და ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობით—$27\frac{1}{2}$ წლითა და აგრეთვე 18 წლითა და 7 თვით.

ხანგრძლივ სესხისათვის სესხის ამღები მოვალეა ყოველ ქქვს თვეში შემოიტანოს ბანკში სამი პროცენტი აღებულის სესხისა და ამას გარდა $\frac{2}{3}$% სათადარიგო და უჩვეულებრივო თანხის შესადგენად და ბანკის გამგეობის ხარჯისათვის.

ბანკის ვალის გადასახდელად სესხის ამღები მოვალეა ყოველ ექვს თვეში შემოიტანოს: $54\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{8}$% პროცენტი აღებულის სესხისა, $43\frac{1}{2}$ წლით აღებულს ვალში—$\frac{1}{4}$%, $27\frac{1}{2}$ წლის ვალში—$\frac{3}{4}$% და 18 წლითა და 7 თვით აღებულს ვალში—$1\frac{1}{2}$%.

5) ვისაც სურს ბანკიდამ სესხი აიღოს,ვალდებულია წარმოადგინოს ბანკის გამგეობაში: ა) ჯეროვან სასამართლოის უფროს ნოტარიუსის მოწმობა, რომ მამული სესხის ამღებს ეკუთვნის, ბ) ადგილის პლანი, თუ აქვს, გ) დაწვრილებით შედგენილი აღწერილობა მამულისა და დ) თხოვნა, 17 თებერვალს 1881 წელს დამტკიცებულის ბანკის წესდების თანახმად, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს-თუ რამდენი სურს აიღოს სესხად და რა ვადით. ქალაქის უძრავ მამულების დაგირავების დროს ამ დოკუმენტებს გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს კიდევ სტრახის პოლისი, ე. ი. მოწმობა, რომ ის მამული ცეცხლის საზღვეველ საზოგადოებაში არის შეტანილი. სესხის აღების თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი დასაფასებელი ხარჯი: ქალაქის მამულებისათვის—1% და სოფლის მამულებისათვის $\frac{3}{4}$% პროცენტი იმ სესხისა, რომლის აღებასაც თხოულობს. (10—6)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჭყონია და ს. მესხი.